PDF Eraser Free

დანართი №2

სსიპ „ბლექსი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნატო გაბოშვილი

წევრები:

დავით კუპატაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

(თბილისი, 2021)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი ,,ბლექსი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 14 აპრილის MES 7 21 0000357626 ბრძანების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით -ნატო გაბოშვილი (ჯგუფის თავმჯდომარე) და დავით კუპატაძე (ჯგუფის წევრი) 2021 წლის 28 აპრილს სსიპ კოლეჯში „ბლექსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით დაგეგმა ვიზიტი დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ციფრული საშუალებების გამოყენებით, დაწესებულების მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის დასადგენად.

ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები, ასევე დამატებით იქნა მოთხოვნილი პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, შედგა დღის წესრიგი. დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმება;
- დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემოწმება;
- ვებ გვერდის შემოწმება;
- პროგრამასთან დაკავშირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმება დისტანციურად;
- დაწესებულების ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალური თუ ელექტრონული რესურსის ხელმისაწვდომობის შემოწმება დისტანციურად;
- პროგრამასთან დაკავშირებული ადამიანური რესურსის დოკუმენტაციის შემოწმება;
- პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება, დისტანციურად;
- პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება
- გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა და მისი შესაბამისობა მისიასთან, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებთან მიმართებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

შეხვედრის დასასრულს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა გაწეული მუშაობის შედეგები და დაწესებულებას გააცნო გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

შეხვედრამ ჩაიარა მშვიდ და საქმიან ატმოსფეროში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

არ ყოფილა

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

არ ყოფილა

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ ყოფილა

VII. რეკომენდაციების შეჯამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ რესურსებს/აღჭურვილობას პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა დანარჩენი მოდულების პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის, ექსპერტთა ჯგუფს წარმოუდგინეს მხოლოდ ნაწილი საჭირო მატერიალური რესურსები/აღჭურვილობისა. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ კოლეჯმა უნდა გამოაცხადოს ელექტრონული ტენდერი საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და უსაფრთხოების საშუალებების შესყიდვის განხორციელების სრულყოფის მიზნით, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 25 მარტის ბრძანებით №01-02/74 დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, სადაც ასახულია ამ ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის პერიოდი: 01.05. 2021 – 25.09.2021, შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსები/აღჭურვილობის შეძენა, შესყიდვის გეგმაში ცვლილებების განხორციელება საგანმანათლებლო რესურსის თარგმნის მომსახურების შესყიდვისათვის და სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმება, საგანმანათლებლო რესურსის თარგმნის მომსახურების მიღება) და პასუხისმგებელი პირები. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ზემოაღნიშნული საკითხი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაში“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობები ზედმიწევნით განახორციელონ გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	უმაღლესი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	01-02/73; 25.03.2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №92 ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**სრული 3**	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილება, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ, ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, კერძოდ, სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ 2019-2026 წლების სტრატეგიული გეგმით, სამშენებლო ინდუსტრიის ტენდენციების გათვალისწინებით, სხვა პროფესიულ საგამანანათლებლო პროგრამებთან ერთად, დაგეგმილი იყო მოდულურ პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები“ შემუშავება და დანერგვა.

სამშენებლო სექტორის მიმართულებით კოლეჯის გაძლიერების მიზნით პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ ჩატარდა სამშენებლო სექტორის მოქმედ და პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვა. კითხვებზე „გვითხარით რომელი პროგრამების ფარგლებში გსურთ თანამშრომლობა კოლეჯ „ბლექსთან“ და „გვითხარით რომელი პროფესიის სპეციალისტზე გექნებათ მოთხოვნა თქვენს კომპანიაში უახლოესი სამი წლის განმავლობაში“ - შეთავაზებული 19 სამშენებლო სპეციალობიდან 44,4 პროცენტით ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები“ იყო.

,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ მოდულური პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს შემდეგი ფაქტორები: 1. საქართველოს კანონის „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ამოქმედების შემდეგ ძალიან გაიზარდა მოთხოვნა შეასაბამის კვალიფიციურ კადრებზე; 2. აჭარის რეგიონში აქტიურად მიმდინარეობს სამშენებლო ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელსაც თან ახლავს გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობა და ამ მიმართებით სხვა პროგრამებთან ერთად მოთხოვნადია დასახელებული პროგრამა; 3. აღნიშნული მიმართულებით რეგიონში კადრებს არ ამზადებს არც ერთი პროფესიული და არც უმაღლესი სასწავლებელი; 4. კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმით სამშენებლო მიმართულება (ტურიზმის მიმართულებასთან ერთად) პრიორიტეტულია კოლეჯისათვის და წარმოდგენილი პროგრამა უკვე 2019 წელს იყო ასახული სტრატეგიაში. 5. კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია პროგრამის დამატება; 6. აჭარის რეგიონში მოქმედი ხუთი ძლიერი სამშენებლო კომპანია და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებები თანამშრომლობენ კოლეჯთან საწარმოო სწავლების პროცესში; 7. პროგრამის მიმართულებით კოლეჯს ჰყავს ძლიერი ადამიანური რესურსი; 7. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ (GIZ), კოლეჯის თხოვნით, განახორციელა პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი აღჭურვილობის ნაწილის (192 393 ლარის ოდენობით) შესყიდვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებულია „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსადაცვითი ტექნოლოგიების“ განხორციელება.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, კერძოდ, პროგრამაზე დაიშვებიან სრული ზოგადი განათლების მქონე პირები. დაწესებულებას აქვს შემუშავებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 25 ივლისის #01-02/139 ბრძანებით. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა ასპექტს, დაწყებული პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან დასრულებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია“ დამტკიცებული დირექტორის 2020 წლის 4 ივნისის #01-02/91 ბრძანებით. კერძოდ გათვალისწინებულია ადამიანური რესურსი, პროგრამის განხორციელების მიდგომა, სასწავლო გარემო (A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; B სასწავლო გარემოს ფართი (1 სტუდენტი 2. კვ. მ) და პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; C სასწავლო გარემოსთან მიმართებაში გათვალისწინებულია ფართი ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად და მატერიალური რესურსი პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით.

კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ განსახორციელებლად გათვალისწინებული აქვს A, B და C გარემო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

A გარემო - სასწავლო აუდიტორია - 20 პროფესიული სტუდენტისათვის, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც აღჭურვილია: პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით (მაგიდა/სკამი), პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, პროექტორით, კომპიუტერით (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის).

B გარემო - კომპიუტერული კლასი - (ოთახი №38) 55 კვ.მ ფართი, სადაც განთავსებულია 20 პერსონალური კომპიუტერი და მრავალფუნქციური პრინტერი. იგი სრულადაა აღჭურვილი მოდულის „ინფორმაციული წიგნიერება-2“ განსახორციელებლად, ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ აღნიშნული აუდიტორია სხვა პროგრამების ფარგლებშიც არის დატვირთული, თუმცა მეცადინეობების გრაფიკი ისეა გაწერილი, რომ იგი თითოეული პროგრამისთვის ხელმისწავდომია.

A და C გარემო - სასწავლო აუდიტორია (ოთახი №14) 43 კვ. მ, რომელიც გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე. აუდიტორიაში განთავსებულია: მასწავლებლის მაგიდა სკამით, დაფა, პროექტორი, აუდიტორიაში ასევე განთავსებულია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ნაწილი ინვენტარი და აღჭურვილობა (საერთო ფართი 43კვ.მ);
ყოველივე ამის გათვალისწინებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის ,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები” გამოყოფილი სივრცის რესურსი შეადგენს 20 პროფესიულ სტუდენტს ერთ ცვლაში. დაწესებულება გეგმავს 2 ცვლაში 40 პროფესიული სტუდენტის მომსახურეობას.

კოლეჯს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ და ამ პროგრამის მოდულში „საწარმოო პრაქტიკა“-სგანხორციელებისათვის გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები: **1. შპს „ბათუმის წყალი“** - ერთ მიღებაზე 5 პროფესიული სტუდენტი, **2. შპს „ელიტ კონსტრაქშენ“** - ერთ მიღებაზე 6 პროფესიული სტუდენტი, **3. სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“** - ერთ მიღებაზე 5 პროფესიული სტუდენტი, **4. შპს „ქრიათივ იმფრეშენს კავკაზუს**“ - ერთ მიღებაზე 6 პროფესიული სტუდენტი, **5. შპს „ანაგი“**- ერთ მიღებაზე 6 პროფესიული სტუდენტი, **6. სპს „დს კონსტრაქშენი“** - ერთ მიღებაზე 6 პროფესიული სტუდენტი, **7. შპს „სევენ სტარ კონტრაქშენი“** - ერთ მიღებაზე 5 პროფესიული სტუდენტი, **8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო** - ერთ მიღებაზე 5 პროფესიული სტუდენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „**შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების**“ მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია მოდულის სწავლის შედეგებთან.

სასწავლო რესურსის მოძიების პროცესში კოლეჯს მხარდაჭერა აღმოუჩინა ,,გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ“ რომელმაც კოლეჯს გადასცა სახელმძღვანელო „შრომის უსაფრთხოება სამშენებლო სექტორში“, რომელიც შედგენილია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით, სამშენებლო სექტორში შრომის უსაფრთხოების სფეროს გაძლიერებისა და სტიმულირების ფარგლებში (ელ. ვერსია). კოლეჯებმა ,,კონსტრუქტ 2“ და ,,ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია“ კოლეჯს გადასცა მათ ბიბლიოთეკაში არსებული სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

პროგრამას არჩევითი მოდულები არ გააჩნია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილ პირად განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორი, შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის დირექტორის მიერ, 2021 წლის 25 მარტის #01-02/73 ბრძანებით.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

„შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება იდენტურია იმ ჩარჩო დოკუმენტისა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა აღნიშნული პროგრამა, რაც ნიშნავს, რომ შეესაბამება პროგრამის შინაარსს/მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამის შემუშავების საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები/Occupational Safety and Environmental Technology 07311-პ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლოპროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ *დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 25 ივლისის #01-02/139 ბრძანებით*
- გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

2. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
3. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
4. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
5. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
6. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
7. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

ექსპერტთა მოსაზრებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების თეორიული კომპონენტების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების მფლობელობაში არსებული, თეორიული სწავლებისთვის საჭირო რესურსით აღჭურვილ აუდიტორიებში, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (სულ 40 პროფესიული სტუდენტი,) გათვალისწინებით. სწავლება განხორციელდება 2 ცვლაში, თითოეულ ცვლაში დაკავებული იქნება 20 პროფესიული სტუდენტი. კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები პარტნიორებთან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

რომელთა მატერიალური რესურსები/აღჭურვილობა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული მოდულის „საწარმოო პრაქტიკა“ სწავლის შედეგების მიღწევას, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (40 პროფესიული სტუდენტი) გათვალისწინებით. რაც შეეხეება პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ რესურსებს/აღჭურვილობას პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა დანარჩენი მოდულების პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის, ექსპერტთა ჯგუფს წარმოუდგინეს მხოლოდ ნაწილი საჭირო მატერიალური რესურსები/აღჭურვილობისა. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ კოლეჯმა უნდა გამოაცხადოს ელექტრონული ტენდერი საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და უსაფრთხოების საშუალებების შესყიდვის განხორციელების სრულყოფის მიზნით, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 25 მარტის ბრძანებით №01-02/74 დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, სადაც ასახულია ამ ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის პერიოდი: 01.05. 2021 – 25.09.2021, შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსები/აღჭურვილობის შეძენა, შესყიდვის გეგმაში ცვლილებების განხორციელება საგანმანათლებლო რესურსის თარგმნის მომსახურების შესყიდვისათვის და სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმება, საგანმანათლებლო რესურსის თარგმნის მომსახურების მიღება) და პასუხისმგებელი პირები. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ზემოაღნიშნული საკითხი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაში“.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

„შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული განათლების მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამის ფარგლებში სულ გათვალისწინებულია 24 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის, 18 სავალდებულო პროფესიული მოდულის მასწავლებელი.

ინფორმაცია პროფესიული განათლების მასწავლელთა თაობაზე დაწესებულებამ წარმოადგინა განაცხადის დანართის სახით, ასევე, ექსპერტთა მიერ დამატებით იქნა გამოთხოვილი პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

2020 წელს პროგრამის განხორციელების მიზნით კოლეჯმა გამოაცხადა მასწავლებელთა კონკურსი და ამ გზით მოხდა მათი შერჩევა. პროგრამის მდგრადობის მიზნით კოლეჯმა 2021 წელსაც დაიმატა დარგის სპეციალისტები, ყველა მათგანთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულება.

"შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები აღჭურვილი არიან სწავლებისა და შეფასების სათანადო კომპეტენციით.

პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და სასწავლო გეგმის თანახმად, მათი საათობრივი კვირეული დატვირთვა, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს პროფესიული მუშაობის გამოცდილების 5 წლიანი სტაჟი. პროგრამის ხელმძღვანელი დამტკიცებულია პროგრამასთან ერთად (დარეგულირებულია სსიპ კოლეჯში ,,ბლექსი" პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურა) დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი" დირექტორის 2021 წლის 04 თებერვლის №01-02/22 ბრძანებით.

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა და ფუნქციები. ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს და შეამოწმეს მისი პირადი საქმე. პროგრამის ხელმძღვანელმა ექსპერტებთან გასაუბრებისას განაცხადა, რომ იგი ჩართული იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და ადაპტირებაში, იცნობს მოდულის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

სპეციფიკას (ზოგადი, სტანდარტული და დამხმარე ჩანაწერები), შეფასების ფორმების და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაც არაა მისთვის უცხო.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო და ზოგად მოდულებში მითითებული ლიტერატურა. ყველა სასწავლო რესურსი აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში ნაწილი ბეჭდური სახით, ხოლო ნაწილი - ელექტრონულ მატარებელზე.

ასევე, ბიბლიოთეკაში არის სამუშაო სივრცე აღჭურვილი კომპიუტერებით, რომელშიც ჩატვირთულია პროგრამის სასწავლო რესურსი. ბიბლიოთეკაში არის პროგრამა კოდექსზე წვდომის შესაძლებლობა.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი" დირექტორის მიერ 2019 წლის 25 ივლისის №01-02/139 დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.მოცემულ ეტაპზე კოლეჯს ჰყავს ერთი ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, ორი სასწავლო პროცესის ასისტენტი, ასევე ჟესტური ენის თარჯიმანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2019 წლის 12 ივნისის დირექტორის ბრძანებით 01 -02 /114, სსსმ პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნისა და შეფასების მტკიცებულებების მოპოვების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, განსაზღვრულია მეთოლოგია, რომლის საფუძველზეც მოხდება პროფესიული მოდულის მოდიფიცირება, სასწავლო პროცესის დაგეგმვის შეასაძლო ცვლილებები, აკომოდაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა სტუდენტის საჭიროებიდან გამომდინარე.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამისათვის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ შემუშავებული აქვს ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილებს და ბიუჯეტით გაანგარიშებულია პროგრამის რენტაბელობის ზღვარი (11).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო გეგმა,
- დირექტორის 2021 წლის 25 მარტის ბრძანებით 301-02/74 დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა,
- სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2020 წლის 29 დეკემბრის №01-02/245 ბრძანება
- სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2021 წლის 04 თებერვლის №01-02/22 ბრძანება,
- გასაუბრება.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურა'' ითვალისწინებს პროგრამის გაუმჯობესებას. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს ,,დაგეგმე - განახორციელე- შეაფასე -გადახედე/გაუმჯობესე“ მოდელს. მარეგულირებელი დოკუმენტი - ,,სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“ ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, სოციალური პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს. ინტერიუირებისას გამოიკვეთა, რომ პროგრამის შეფასება განხორციელდება მეცადინეობებზე დასწრების შედეგების ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა დამსაქმებელთა გამოკითხვების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასების საფუძველზე. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, დაწესებულებას ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით 2020 წელს შემუშავებული აქვს ახალი კითხვარები და კვლევის მეთოდოლოგიები, რომელთა საფუძველზეც განახორციელებს თავის საქმიანობას აღნიშნული პროგრამის ფარგლებშიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“ და ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურა” ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში გეგმავს განახორციელოს ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში/ მოდულებში მის მიერვე განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,,სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“ დირექტორის 2019 წლის 31 ივლისის №01-02/ 150 ბრძანება; (ცვლილება - ბრძ.№01-02/ 116 – 29/06/2020)
- სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2021 წლის 04 თებერვლის №01- 02/22 ბრძანებით დამტკიცებული ,, სსიპ კოლეჯში ,,ბლექსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურა“
- კითხვარები და კვლევების მეთოდოლოგია
- გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/ თანაგანმახორ-ციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**

სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია მოდულით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. კოლეჯს შემუშავებული (დამტკიცებულია) აქვს კალენდარული გეგმის ფორმა და წარმოების წესი, რომლის საფუძველზეც მოდულის დაწყების წინ პროფესიული განათლების მასწავლებლები გეგმავენ პროცესს. ,,კალენდარული გეგმის ფორმა და წარმოების წესი“ დამტკიცებული სსიპ პროფესიული კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2019 წლის 31 მაისის №01-02/101 ბრძანებით; პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობრივი ინსტრუქციით გათვალისწინებულია კალენდარული გეგმების წარმოება, რაც ასევე ასახულია ხელშეკრულებებში.

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, დაწესებულება მუშაობს სხვადასხვა ცვლაში, რაც ერთგვარად, იძლევა სტუდენტთა უმრავლესობის ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას. ასევე, გათვალისწინებულია ინდივიდუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

სასწავლო გეგმების შემუშავება სხვადასხვა შემთხვევებისათვის (სსსმ სტუდენტის სტატუსი, მობილობა, სტატუსის აღდგენა და სხვ). 2020 წელს პანდემიიდან გამოწვეული სასწავლო პროცესის შეფერხებიდან გამომდინარე, კოლეჯს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში შეტანილი აქვს ცვლილებები, რაც დაწესებულებას აძლევს საშუალებას მოახდინოს რეაგირება პროფესიული სტუდენტის საჭიროებებზე.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

სასწავლო პროცესში, ცალკეული მოდულების ფარგლებში გათვალისწინებულია ორი ან სამი მასწავლებლის ერთდროული ჩართულობა. დაწესებულება გეგმავს დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებული გამოცდილება გამოიყენოს და შეინარჩუნოს პროგრამების ფარგლებში, იქ, სადაც ეს აშკარად უზრუნველყოფს სწავლების მაღალ ხარისხს. მოდულების ფარგლებში გაანალიზებულია, რომელი სწავლის შედეგის მიღწევა იქნება დისტანციურად შესაძლებელი. პროგრამის ფარგლებში, შერჩეულნი არიან ახალი მასწავლებლები, კოლეჯი გეგმავს ახალი მასწავლებლებისათვის ტრენინგების ჩატარებას სხვადასხვა მიმართულებით. მასწავლებლებთან ინტერიუირებისას დაზუსტდა, რომელი მოდულის რომელი სწავლის შედეგის მიღწევაა ხელმისაწვდომი დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებებით, ხოლო მტკიცებულების მოპოვება, სტუდენტის შეფასების მიზნით დაგეგმილია განხორციელდეს პირისპირ რეჟიმში. სასწავლო აუდიტორიები, სადაც განხორციელდება პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით: კომპიუტერით, პროექტორით, პრინტერით, გასაუბრებისას პროფესიული განათლების მასწავლებლები საუბრობდნენ სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების თაობაზე სასწავლო პროცესში.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, როგორც შშმ და სსსმ სტატუსის მქონე პირებთან მიმართებაში ასევე, იმ პირთა მიმართ, რომლებსაც სჭირდებათ ისგ - ის მიხედვით სწავლება. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (მუხლი 33) გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. ასევე, შემუშავებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის და შეფასების მტკიცებულებების მოპოვების ინსტრუქცია. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებისა და ამ პროცესში ჩართულ სხვა პირთა სამუშაო აღწერილობები (უფლება - მოვალეობები, შიდა ურთერთკავშირი) ნათლად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან პარტნიორ კომპანიებში, რომლებთანაც გაფორმებულია ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულებები და 1 მემორანდუმი. პროგრამის ფარგლებში კოლეჯს ჰყავს 8 პარტნიორი ორგანიზაცია, მათგან 3 ორგანიზაციის წარმომადგენელთან განხორციელდა გასაუბრება. ხელშეკრულებების ფარგლებში მისაღები სტუდენტების მაქსიმალური ოდენობა - 44 პროფესიული სტუდენტი. კოლეჯს შემუშავებული აქვს საწარმოო პრაქტიკის განხორციერლების წესი, რომელიც დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი" დირექტორის 2019 წლის 5 აგვისტოს №019-02/62 ბრძანებით და მის შესაბამისად ახორციელებს საწარმოო პრაქტიკის მოდულს.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი" დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის N 01- 02/18 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის თანახმად. სწავლების პროცესში, შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მასწავლებელს. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ჟურნალის" ფორმისა და წარმოების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი" დირექტორის 2020 წლის 05 ივნისის №01-02/92 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული მოდულებისათვის შრომის ინსტრუქტაჟის გაწევის ვალდებულების საკითხი. ჩანაწერების ჟურნალში პროფესიულ სტუდენტთა ხელმოწერა უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღებას მათ ინფორმირებულობასთან დაკავშირებით. პარტნიორ ორგანიზაციებში, ხელშეკრულებებით გათვალისწინებულია, რომ კომპანიამ უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო გარემო, სტუდენტთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო პირობები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- საგანმანათლებლო პროგრამა “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები” სასწავლო და კალენდარული გეგმები
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულებები /მემორანდუმები
- სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2019 წლის 5 აგვისტოს №019-02/62 ბრძანებით დამტკიცებული საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესი
- საწარმოო პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული 8 ხელშეკრულება და ერთი მემორანდუმი
- ინდ. სასწავლო გეგმები - სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2019 წლის 25 ივლისი 301-02/139 ბრძანება (ცვლილებებით); ,,სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის და შეფასების მტკიცებულებების მოპოვების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“
- სსიპ პროფესიული კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2019 წლის 12 ივნისის №01- 02/114 ბრძანება ,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ჟურნალის“ ფორმისა და წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“
- სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2020 წლის 05 ივნისის №01-02/92 ბრძანება; ,
- ,სსიპ - კოლეჯის ,,ბლექსი“ თანამშრომელთა სამსახურეობრივი ინსტრუქციები“ - დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2020 წლის 29 დეკემბრის №01-02/ 245 ბრძანებით.
- გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

პროგრამის ფარგლებში შეფასება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი" დირექტორის 2019 წლის 25 ივლისის №01-02/139 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ასახულია სწავლის შედეგების შეფასების სისტემა- შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის, შეფასების ინსტრუმენტისა და შეფასების მტკიცებულების მიმართ წაყენებული მოთხოვნების, შეფასების ინსტრუმენტის შეთანხმების (ვალიდაციის), შეფასების ადმინისტრირების, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების. განმეორებითი შეფასების აპელაციის საკითხები დარეგულირებულია კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტით ,,ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია". როგორც გასაუბრებიდან გამოიკვეთა, ვერიფიკაციის მექანიზმი კოლეჯმა შეიმუშავა ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე და შემდგომ დამტკიცდა სსიპ კოლეჯის "ბლექსი" დირექტორის 2020 წლის 05 ივნისის №01-02/93 ბრძანებით. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და ვერიფიკაციის მექანიზმიც განთავსებულია კოლეჯის ვებ - გვერდზე.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი" დირექტორის 2020 წლის 5 ივნისის №01-02/93 ბრძანებით დამტკიცებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. როგორც გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რეგულაცია შემუშავებულია ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციებიდან გამომდინარე და კოლეჯი თავის საქმიანობას წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებაშიც განახორციელებს აღნიშნული მექანიზმის შესაბამისად.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქციაში გაწერილია (მუხლი 8) შეფასების მტკიცებულებების მოპოვების, გადაბარების, შენახვის წესი და პროცედურები. მოდულური პროგრამების შეფასების მტკიცებულებების (სტუდენტთა ნამუშევრები) შენახვის ვადად განსაზღვრულია შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წელი.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. აღნიშნული გათვალისწინებულია ვერიფიკაციის მექანიზმით. ასევე, დაწესებულება არსებული რეგულაციების შესაბამისად აქტიურად იყენებს განმავითარებელ შეფასებას, რაც ასევე გამოიყენება პროფესიული სტუდენტების შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2019 წლის 25 ივლისის №01-02/139 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი;
- „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია“ დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის “ბლექსი“ დირექტორის 2020 წლის 05 ივნისის №01-02/93 ბრძანება. (ცვლილება- №01-02/72; 23.03.2021).
- გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

28

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free
ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	0

დასაბუთება

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

2.06.21
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---